

### ახსნა-განმარტება

1. მოწინააღმდეგე მხარის განმარტებით, ჩვენს მიერ მითითებული ორჰუსის კონვენციის “მე-6 მუხლის მეორე პუნქტი სავალდებულოდ აცხადებს საქმიანობის ნებართვის თაობაზე საზოგადოების ინფორმირებას მხოლოდ შესაბამის დანართში ჩამოთვლილ საქმიანობაზე, ამდენად იგი არ ვრცელდება ტყითსარგებლობის ლიცენზიაზე.” ადმინისტრაციული საჩივრის განხილვისას და შესაგებელში მხარის მიერ მოყვანილი არგუმენტი არის აბსოლუტურად დაუსაბუთებელი, რადგან მოპასუხე მე-6 მუხლის პირველი პუნქტის 1-ლი ქვეპუნქტიდან გამომდინარე ამბობს, რომ **“თითოეული მხარე 1 დანართში ჩამოთვლილი შემოთავაზებული საქმიანობის ნებართვაზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში გამოიყენებს წინამდებარე მუხლის დებულებებს,”** ხოლო ტყით სარგებლობის შესახებ გადაწყვეტილება დანართი 1-ში მითითებული არ არის. თუმცა, უნდა აღნიშნოს, რომ კონვენციის იმავე მუხლის (მე-6 მუხლის) 1-ლი პუნქტის (ბ) ქვეპუნქტის თანახმად, თითოეული მხარე “საკუთარი ეროვნული კანონმდებლობის ჩარჩებში აგრეთვე გამოიყენებს წინამდებარე თავის დებულებებს იმ შემოთავაზებულ საქმიანობებში [დედანის თანახმად “პროპოსედ აცტივიტიეს” – დაგეგმილი საქმიანობები], რომელიც არ არის ჩამოთვლილი I დანართში, თუმცა შეუძლიათ მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინონ გარემოზე. ამისათვის მხარეებმა უნდა განსაზღვრონ რამდენად ეხება ასეთი სახის შემოთავაზებული საქმიანობა წინამდებარე დებულებებს; და (გ) თუ ეს გათვალისწინებულია ეროვნული კანონმდებლობით, ყოველ ცალკეულ შემთხვევაში შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება არ გამოიყენოს ამ თავის დებულებები იმ საქმიანობასთან დაკავშირებით, რომელიც ეხება ეროვნულ თავდაცვას, თუ ეს მხარე მიიჩნევს, რომ ეს უარყოფით ზეგავლენას იქონიებს ამ მიზნებზე.” აღნიშნულიდან გამომდინარე, გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის უზრუნველსაყოფად კონვენციის მე-6 მუხლით გათვალისწინებული ყველა პროცედურა უნდა ყოფილი დაცული.

როგორც უკვე სარჩელში მივუთითეთ, ჩვენი კანონმდებლობა ითვალისწინებს ასეთ შესაძლებლობას. კერძოდ, “ტყის კოდექსის” 35-ე მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად: **“მოსახლეობისა და საზოგადოებრივი გაერთიანებების წარმომადგენლებს უფლება აქვთ მიიღონ სრული, ობიექტური და დროული ინფორმაცია სახელმწიფო ტყის ფონდის მგომარეობის შესახებ; მონაწილეობა მიიღონ სახელმწიფო ტყის ფონდის მართვის დაგეგმვის ყველა ღონისძიებაში ნებისმიერ ეტაპზე.”**

ამავე მუხლის მე-3 პუნქტი კი დამატებით აკონკრეტებს, რომ მონაწილეობის შესაძლებლობა დაინტერესებულ პირებს უნდა მიეცეს ტყითსარგებლობის შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე. ხოლო ტყის კოდექსის 36-ე მუხლი აკონკრეტებს სახელმწიფო ორგანოების პასუხისმგებლობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოსახლეობისა და

საზოგადოებრივი გაერთიანებების ჩართვასთან დაკავშირებით: „ამ კოდექსის 35-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში, სახელმწიფო ტყის ფონდის მართვის უფლების მქონე ორგანოები უზრუნველყოფენ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებამდე მოსახლეობისა და საზოგადოებრივი გაერთიანებების წარმომადგენელთა მიერ გამოთქმულ შენიშვნებისა და წინადადებების განხილვას“.

მოყვანილი სამართლებრივი ნორმები ადასტურებს მოსარჩელის მოთხოვნის კანონიერებას და მოპასუხე მხარეების გადაწყვეტილების უკანონობას.

მოსარჩელე მხარის პოზიციას კიდევ უფრო ამყარებს კონვენციის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი:

“დაინტერესებული საზოგადოება ადეკვატურად, დროულად და ეფექტურად უნდა იყოს ინფორმირებული საზოგადოებრივი თუ ინდივიდუალური შეტყობინებების მეშვეობის (გარემოებათა გათვალისწინებით) გარემოსა დაცვასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღების პროცესის საწყის ეტაპზე.” შემდეგ ამავე პუნქტში კონვენცია ქვეპუნქტებით განსაზღვრავს იმ კონკრეტულ ჩამონათვალს, რომელიც უნდა მიეწოდოს საზოგადოებას ინფორმაციის სახით, რათა მან შეძლოს გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობის მიღება. ანუ დაინტერესებულ პირებს შესაძლებლობა უნდა მიეცემაოდათ ჩართულიყვნენ პროცესში აუქციონის გამოცხადებამდე, ვიდრე ლიცენზიის გასხვისების შესახებ გადაწყვეტილება იქნებოდა მიღებული, ხოლო განსახილველ შემთხვევაში საზოგადოებისათვის ცნობილი გახდა უკვე მიღებული გადაწყვეტილება. რაც ზემოთ მითითებული ნორმების ცალსახა დარღვევაა.

2. მოპასუხე მხარე “ტყის კოდექსის” 115-ე მუხლის მე-2 პუნქტზე დაყრდნობით აცხადებს, რომ ტყითსარგებლობის ლიცენზიები სრულიად კანონიერად გაიცა და ფასიც კანონშესაბამისად იქნა დადგენილი. საქართველოს “ტყის კოდექსის 27-ე მუხლის თანახმად: “ტყეთმოწყობა ხორციელდება ყოველ 10 წელიწადში ერთხელ (ათწლიანი ციკლით). მისი მიზანია საქართველოს ტყის ფონდის მოვლის, დაცვისა და აღდგენის ღონისძიებების განხორციელებისა და მათი ეფექტიანობის ამაღლების, ტყის რესურსების რაციონალური გამოყენების, აგრეთვე ამ სფეროში ერთიანი სამეცნიერო-ტექნიკური პოლიტიკის გატარების დაგეგმვა.”

ამავე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად: “აკრძალულია საქართველოს ტყეებში ტყეთმოწყობის გარეშე ტყითსარგებლობა და სატყეო-სამეურნეო სამუშაოების წარმოება, სტიქიური უბედურების შემთხვევების გარდა.”

115-ე მუხლი არის გარდამავალი დებულებებით გათვალისწინებული ვალდებულება, რომელიც ადგენს სახელმწიფოს შესაძლებლობას განახორციელოს გარკვეული საქმიანობები მანამ, სანამ არსებული ობიექტური რეალობიდან გამომდინარე კანონის მოთხოვნების სრულად შესრულება იქნება შესაძლებელი, ანუ მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში, სანამ საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო ჩაატარებდა 27-ე მუხლით გათვალისწინებულ ტყეთმოწყობას 10 წელიწადში ერთხელ, მანამდე მან უნდა იხელმძღვანელოს სწორედ გარდამავალ დებულებებში დადგენილი წესებით, მაგრამ

მხედველობაშია მისაღები ის გარემოება რომ “ტყის კოდექსი” მიღებულია 1999 წლის 22 ივნისს, უკანასკნელი ტყეთმოწყობა სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციის შესაბამისად ჩატარებულ იქნა ყვარელში 1989-1992 წწ., ახალციხეში 1997-1999 წწ. და სამეგრელო-ზემო სვანეთში 1984-1985 წლებში, შესაბამისად, კანონის მიღებისათვის სამინისტრო ვალდებული იყო დაუყოვნებლივ განეხორციელებინა ტყეთმოწყობა, რადგან 10 წლიანი ვადები გასული იყო. ამდენად, სამინისტროს ასეთი გრძელვადიანი სარგებლობის ლიცენზიის გაცემისას უნდა მოეხდინა კანონით მასზე დაკისრებული ვალდებულების შესრულება და მხოლოდ ამის შემდეგ მიეღო გადაწყვეტილება ტყის სარგებლობის ლიცენზიით გაცემა/არ გაცემის შესახებ.

მოპასუხე მხარის მიერ მითითებული 115-ე მუხლი ადგენს: **“სახელმწიფო ტყის ფონდით სარგებლობა, სახელმწიფო ტყის ფონდის კადასტრისა და ტყეთმოწყობის შესახებ ამ კოდექსით დადგენილ მოთხოვნათა განხორციელებამდე, დაიშვება გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს შესაბამის რეგიონულ და ადგილობრივ ორგანოებთან შეთანხმებით სპეციალური გამოკვლევებით წინა პერიოდის ტყეთმოწყობის მასალების ყოველწლიური კორექტირების საფუძველზე”**.

მოყვანილი მუხლი, როგორც გარდამავალი დებულება ადგენს 1 წლიანი ლიცენზიების გაცემისათვის სპეციალური წესს, სწორედ ამიტომაცაა მუხლში მითითებული ტყეთმოწყობის მასალების ყოველწლიური კორექტირების ვალდებულება. გარდა ამისა, სამინისტროს წარმომადგენლებს არ წარმოუდგენიათ არავითარი მტკიცებულება თუნდაც კანონის ამ მოთხოვნის დაცვის შესახებ. მაგალითად, სამინისტროსა და ადგილობრივ ორგანოებთან დადებული შეთანხმება, რაც სავალდებულოა ამავე 115-ე მუხლის მე-2 პუნქტით.

3. მოპასუხე მხარე წარმოდგენილ მასალებში ტყითსარგებლობის ლიცენზიის კანონიერად გაცემის საფუძველად უთითებს საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს 1132 დადგენილებით დამტკიცებულ “ტყითსარგებლობის ლიცენზიის გაცემისა და პირობების შესახებ” დებულების მე-4 მუხლის მე-5 პუნქტს:

**“აუქციონის გამართვამდე სამინისტრომ შეიძლება დაადგინოს დასამზადებელი ხეტყის (ხეტყის დამზადების ადგილმდებარეობა, მერქნიანი მცენარეების ჯიშები, დამზადების მოცულობა, სარგებლობის კონკრეტულ წესი, საქმიანობის სუბიექტისადმი სავალდებულო მოთხოვნები და ა.შ.), ასევე სამონადირეო მეურნეობის მოწყობისა და ცხოველთა სამყაროს ობიექტებით სარგებლობის რაოდენობრივი, თვისებრივი და დროში განსაზღვრული ნორმები და წესები, რომლებიც ყოველი თითოეული შემთხვევისათვის მტკიცდება მინისტრის ცალკე სამართლებრივი აქტით.”**

უპირველეს ყოვლისა უნდა აღვნიშნოთ, რომ მოყვანილი აქტი არის კანონქვემდებარე აქტი, ხოლო “ტყის კოდექსი” – კანონი. საქართველოს კანონის “ნორმატიული აქტების შესახებ” 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად: **“კანონს აქვს უპირატესი ძალა კანონქვემდებარე აქტების მიმართ”**. ამდენად, ჩვენს მიერ ზემოთ მითითებული “ტყის კოდექსის” შესაბამისი მუხლები სამინისტროს უდგენენ ვალდებულებას სარგებლობის ლიცენზიის გაცემა მოეხდინათ მხოლოდ ტყეთმოწყობის საფუძველზე, რაც არ გულისხმობდა მოყვანილ დებულებაში სამინისტროსათვის არსებული მხოლოდ დისკრეციული უფლებამოსილების (შეიძლება)

ფარგლებში მოქმედების შესაძლებლობას. გარდა ამისა, არც ამ შემთხვევაში მოპასუხე მხარეს არ წარმოუდგენია აღნიშნულის დამადასტურებელი მტკიცებულება.

ამდენად, მიგვაჩნია, რომ სარჩელში მოყვანილი და ახსნა-განმარტებებით წარმოდგენილი არგუმენტები ადასტურებენ მოსარჩელე მხარის მოთხოვნის კანონიერებას და უნდა გახდეს სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველი. კერძოდ:

1. ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2007 წლის 3 მაისის 1470 ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი;
2. ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2007 წლის 3 მაისის 1471 ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი;
3. ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2007 წლის 3 მაისის 1472 ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი;
4. ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2007 წლის 3 აგვისტოს 191 ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი;
5. ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2007 წლის 3 აგვისტოს 192 ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი;
6. ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2007 წლის 3 აგვისტოს 193 ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი;

თამარ კორძია  
წარმომადგენელი